

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

2018 წლის სამეცნიერო მუშაობის ანგარიში

სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტები:

1. პედაგოგიკის ინსტიტუტი
2. კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგიის ინსტიტუტი
3. პიროვნებისა და კლინიკური ფსიქოლოგიის ინსტიტუტი
4. სოციალური ფსიქოლოგიის ინსტიტუტი
5. განათლების ფსიქოლოგიის ინსტიტუტი
6. შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

პედაგოგიკის

სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

2018 წლის სამეცნიერო მუშაობის ანგარიში

სამეცნიერო-ერთეულის ხელმძღვანელი: ქეთევან ჭკუასელი, პროფესორი

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

ასოცირებული პროფესორი: ეთერ ღვინერია, იზაბელა პეტრიაშვილი, რუსუდან
სანაძე, ზაქარია ქიტიაშვილი

ასისტენტ პროფესორები: ნინო ჩახუნაშვილი, ეფემია ხარაძე

1. სამეცნიერო პუბლიკაციები იმპაქტ-ფაქტორიან გამოცემებში:

№	პუბლიკაციის ავტორი/ავტორები	ჟურნალი, ტომი, გვერდი	პუბლიკაციის დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI
	Rusieshvili Manana, Gabunia Kakha, Petriashvili Izabella „Multilanguage Strategies in Tertiary Education (Using the example of Georgia)“	International Journal of Multilingual Education	E ISSN 1512-3146, # 11, გვ. 112-115

2. სხვა პუბლიკაციები:

№	პუბლიკაციის ავტორი/ავტორები	ჟურნალი, ტომი, გვერდი	პუბლიკაციის დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN
	ქეთევან ჭკუასელი - განათლების სოციალური ფუნქცია	ქართული სამეცნიერო ელექტრონული ჟურნალი-განათლების მეცნიერებები და ფსიქოლოგია http://gesj.internetacademy.org.ge/ge/admin_ge.php?b_sec=edu	0,9801, 2012Ринц; 2016, 0,314

5. საერთაშორისო სამეცნიერო პროექტები

№	დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტში ჩართული პერსონალი/როლი	პროექტის სათაური	პროექტის განხორციელების პერიოდი
1	ევროკავშირის ERASMUS+	585587-EPP-1-2017-1-IL-EPPKA2-CBHE-JP	ქეთევან ჭკუასელი, მონაწილე, მასწავლებელი - მკვლევარი იზაბელა პეტრიაშვილი, ინსტიტუციური	ASSET: შეფასების ინსტრუმენტები ახალი სასწავლო გარემოსთვის უმაღლეს სასწავლებლებში.	15.10.2017-15.10.2020

			<p>მენეჯერი; მკვლევარი/მასწავლებელი/ტრენერი.</p> <p>ეფემიახარაძე, მონაწილე, მასწავლებელი- მკვლევარი</p>		
2	ევროკავშირის ERASMUS+	573322-EPP-1-2016-1-IL-EPPKA2-CBHE-JP	<p>ქეთევან ჭკუასელი, მონაწილე, მასწავლებელი- მკვლევარი</p> <p>იზაბელა პეტრიაშვილი, ინსტიტუციური მენეჯერი; მკვლევარი/მასწავლებელი/ტრენერი.</p> <p>ნინო ჩახუნაშვილი, მონაწილე, მასწავლებელი- მკვლევარი</p>	<p>CURE: კურიკულუმის რეფორმა დემოკრატიული პრინციპებისა და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობისათვის ისრაელსა და საქართველოში</p>	15.10.2016- 15.08.2019

7. სხვა შედეგები:

7.1. პუბლიკაცია საერთაშორისო კონფერენციის მასალებში

№	პუბლიკაციის ავტორი/ები	კონფერენციის სახელწოდება და ჩატარების ადგილი	პუბლიკაციის დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN
	ეფემია ხარაძე	მეთერთმეტე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „განათლება და მეცნიერება XXI საუკუნეში: რეალობა, გამოწვევები, პერსპექტივები“, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, გორი,	გამოცემის პროცესშია

	საქართველო, 16-17.11.2018	
--	---------------------------	--

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	„ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა საქართველოს ბავშვებისთვის“.	2016-2019წწ	ქეთევან ჭკუასელი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2018 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

გაეროს ბავშვთა ფონდი, ფონდი „ინოვე“ და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო 2016-2019 წლებში ახორციელებს პროექტს „ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა საქართველოს ბავშვებისთვის“.

პროექტის საფუძველზე პროექტში მონაწილე საქართველოს ყველა უნივერსიტეტმა შეიმუშავა დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების 300-კრედიტიანი პროგრამა, რომელიც თითოეული უნივერსიტეტისათვის ორიგინალურია. კურიკულუმი მოიცავს საგნობრივ/სასწავლო მოდულს 180 კრედიტის ოდენობით, პედაგოგიურ მოდულს 60 კრედიტის ოდენობით, სამაგისტრო მოდულს 30 კრედიტის ოდენობით და სასკოლო პრაქტიკის მოდულს 30 კრედიტის ოდენობით. თითოეული მოდულის შემუშავებას საფუძველად დაედო წინასწარი ერთწლიანი თეორიული კვლევა ამ ტიპის პროგრამების შესწავლისა უცხოეთის გამოცდილების მაგალითზე /კვლევის შედეგები გამოქვეყნებულია საერთაშორისო პუბლიკაციებში 2016 წელს/ და ემპირიული კვლევის მასალები აღნიშნული თეორიული მოდელის ადაპტირებისა ქართულ საგანმანათლებლო სივრცესთან. კერძოდ, შესწავლილი იქნა სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და სკოლის დირექტორთა შეხედულებანი და დაკვეთები დაწყებითი სკოლის მასწავლებელთა მიმართ. თეორიული და ემპირიული კვლევის შედეგები შეჯერდა პროექტის ექსპერტებთან. შედეგად, 2018 წლის ივლისში პროგრამამ გაიარა აკრედიტაცია უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით და მიმდინარე წლის სექტემბერში განხორციელდა პროგრამაზე პირველი ნაკადის

ჩარიცხვა. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა მე-7 მე-12 კლასების მასწავლებლის 300-კრედიტიანი პროგრამის შემუშავებაზე

4.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3	ქეთევან ჭკუასელი სამოქალაქო აღზრდა და განათლების სოციალური ფუნქცია	საკითხავი მასალა სალექციო კურსისათვის „სამოქალაქო განათლება და დემოკრატია საქართველოში: გამოწვევები და განვითარების გზები	თბილისი - 2018	გვ.132-141

ვრცელი ანოტაცია(ქართულ ენაზე)

აღნიშნული კურსი შეიქმნა ერასმუს+ პროექტის „კურიკულუმის რეფორმა სამოქალაქო განათლებისა და დემოკრატიის პრინციპების ხელშეწყობისათვის მასწავლებელთა მომზადების პროგრამებში ისრაელსა და საქართველოში“(პროექტის ნომერი: 573322-EP-1-2016-IL-EPPKA2-GBHE-JP)ფარგლებში.

ანოტაცია

განათლება სოციალური ფუნქციონირება. მისი აღმოცენება, არსობრივად ადამიანის გაჩენას ემთხვევა. სახელმწიფოებრივი და მიზანმიმართული ხასიათი განათლებისა და სწავლების პროცესმა ანტიკურ ცივილიზაციაში შეიძინა.

განათლების სახელმწიფოებრივმა ხასიათმა განაპირობა მისი სოციალური საჭიროებების, სოციალური ფუნქციების განსაზღვრა.„სოციალური ფუნქციის როლია, რომელსაც სოციალური ინსტიტუტის რულებს საზოგადოების დაკვეთებთან მიმართებით“.

განათლების სოციალური ფუნქციები დროისა და ეპოქის შესაბამისად იცვლება. მაშასადამე, განათლების სისტემამ, როგორც სოციალურმა ინსტიტუტმა, საზოგადოების განვითარების თვალსაზრისით, მოქმედების მიზანი და პროცესი საზოგადოების დაკვეთების შესაბამისად უნდა ააგოს.

თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში აქტუალური გახდა სწავლის შედეგის ცნება. სწავლის შედეგი ასახავს იმ კომპეტენციების ფლობას, რომელიც აუცილებელია თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. შესაბამისად, განათლების სოციალური ფუნქცია წარმოადგენს პიროვნების მომზადება იმ სწავლის შედეგების შესატყვისად, რომელიც აუცილებელია თანამედროვე საზოგადოების არსებობისა და განვითარებისათვის.

საქართველოს განათლების სიტემის სოციალური ფუნქციები ასახულია დოკუმენტებში - საქართველოს ზოგადი განათლება ეროვნული მიზნები, საქართველოს კანონები ზოგადი და უმაღლესი განათლების შესახებ.

თანამედროვე ადამიანი ცხოვრობს საერთაშორისო სივრცეში. შესაბამისად, გლობალურად, განათლების სოციალური ფუნქციების პრიორიტეტულ მიმართულებებად დღეს, თანამედროვე ადამიანებში ზოგადსაკაცობრიო ნორმების დაცვისა და დემოკრატიულ კულტურაში ცხოვრებისათვის აუცილებელი კომპეტენციების ფორმირება გახდა.

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1 2 3	ეფემია ხარაძე	დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის კომპეტენტურობის პრობლემური საკითხები კლასის მართვის პროცესში	მეთერთმეტე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „განათლება და მეცნიერება XXI საუკუნეში: რეალობა, გამოწვევები, პერსპექტივები“, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, გორი, საქართველო, 16-17.11.2018
	რუსუდან სანაძე	EFQM-ის მოდელის გამოყენება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წლიური შემაჯამებელი კონფერენცია „უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის განახლებული სისტემის დანერგვა: შედეგები და შემდგომი ნაბიჯები“.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

6. 2.უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1 2 3	ეფემია ხარაძე	Значение экологического воспитания в начальных классах общеобразовательной школы	საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია „Проблемы и перспективы профессиональной подготовки специалистов в условиях евроинтеграции“, ქ.კროპივნიცკი უკრაინა, 19- 20.04.2018
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

დაწესებულებას თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს ხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

ანგარიში წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი(2 ეგზემპარად) და ელექტრონული ვერსიის(CD-დისკის) სახით.

ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დანართის შესაბამისი მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას(შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით „არ შეფასდა“.

1. 2018 წლის 21 დეკემბერს ჩატარდა სტუდენტური 78-ე საუნივერსიტეტო კონფერენცია, განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტები მონაწილეობდნენ კონფერენციაში, ხოლო ქეთევან ჭკუასელს მათი ხელმძღვანელობისათვის უნივერსიტეტის სიგელი გადაეცა .
2. 2018 წლის 25 სექტემბერს განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალში

დეპარტამენტის მასწავლებელთა მიერ მომზადებულმა დაწყებითი განათლების დამამთავრებელი კურსის სტუდენტებმა „გავხადოთ სწავლა სახალისო“ ფორმატის ფარგლებში ფესტივალზე მოსულ სტუმრებს გააცნეს მათემატიკის, ბიოლოგიის და ქართული ენის სწავლების პროცესში სახალისო სასწავლო აქტივობები.

3. 2018 წლის 10 ნოემბერს ინსტიტუტმა ჩაატარა მასწავლებელთა VII საუნივერსიტეტო კონფერენცია, „უნივერსიტეტი სკოლას-სკოლა უნივერსიტეტს“ - „განმავითარებელი შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში“; კონფერენციის ფარგლებში მუშაობდა 5 სამუშაო ჯგუფი:

- განმავითარებელი შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში - ადმინისტრაციის ხედვა და გამოცდილება;
- განმავითარებელი შეფასების პრობლემატიკა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში დაწყებითი განათლების საფეხურზე სწავლის პროცესში;
- განმავითარებელი შეფასების პრობლემატიკა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლების პროცესში;
- განმავითარებელი შეფასების პრობლემატიკა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ქართული ენის სწავლების პროცესში; ზაქარია ქიტიაშვილმა წარმოადგინა მოხსენება „განმავითარებელი შეფასება, როგორც სწავლების ტექნოლოგია“.
- განმავითარებელი შეფასების პრობლემატიკა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ჰუმანიტარული და საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლების პროცესში;

4. 2018 წელს განათლების მეცნიერებების დოქტორანტების პროექტი

„ინტერდისციპლინური კვლევების ლაბორატორია თსუ-ის დოქტორანტებისთვის“ დაფინანსდა თსუ-ის სტუდენტური პროექტების კონკურსის ფარგლებში.

5. 2018 წლის განმავლობაში პერმანენტულად ტარდებოდა სემინარები, კოლოკვიუმები და თემატური განხილვები ინსტიტუტის დოქტორანტების მონაწილეობით;

6. 2018 წელს განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტში დაცვისთვის მომზადდა 3 სადისერტაციო ნაშრომი, ამასთანავე 43 მაგისტრანტმა დაიცვა სამაგისტრო ნაშრომები.

7. 2018 წელს განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტმა 7 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლასთან გააფორმა მემორანდუმები. ამჟამად დეპარტამენტი 41 სკოლასთან თანამშრომლობს.

8. განათლების მეცნიერებების დეპარტამენტში გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან (GIZ) „კერძო სექტორის განვითარება და პროფესიული განათლება სამხრეთ კავკასიაში“ პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს პროფესიული განათლების მასწავლებლის მომზადების ახალი სამაგისტრო პროგრამის შემუშავება.

9. 2018 წელს განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტს სამუშაო ვიზიტით ეწვია ერასმუს+ პროექტის „კურიკულუმის რეფორმა სამოქალაქო განათლებისა და დემოკრატიის პრინციპების ხელშეწყობისათვის მასწავლებელთა მომზადების პროგრამებში ისრაელსა და საქართველოში“ ხელმძღვანელი რონდა სოფერი.
10. 2018 წელს ქეთევან ჭკუასელი, როგორც განათლების ექსპერტი პერმანენტულად იყო ჩართული საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეგიდით მიმდინარე განათლების სისტემის სამართლებრივი დოკუმენტების შემუშავების, განხილვისა და კონსულტირების პროცესებში.
11. 2018 წელს ეფემია ხარაძე მოიწვიეს ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო პედაგოგიური ჟურნალის „Образование в 21-ом веке“ სარედაქციო კოლეგიის წევრად(education21@ysu.am).
12. 2018 წელს პერმანენტულად ტარდებოდა გასვლითი საჯარო ლექციები ვარიანსა და ხოვლეში.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

კოგნიტური და კლინიკური ნეიროფსიქოლოგიის სასწავლო–სამეცნიერო
ინსტიტუტი

2018 წლის სამეცნიერო მუშაობის ანგარიში

სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: თამარ გაგოშიძე, პროფესორი

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა: პროფესორი: ლალი
სურმანიძე, ასოცირებული პროფესორები: ირაკლი იმედაძე, თამარ აბაშიძე, ირინე
ჟვანია. ასისტენტ პროფესორები: შორენა მამუკაძე, ვლადიმერ გამსახურდია.

2. სხვა პუბლიკაციები:

№	პუბლიკაციის ავტორი/ავტორები	ჟურნალი, ტომი, გვერდი	პუბლიკაციის დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN
	მ. მაჭავარიანი- წერეთელი ლ.სურმანიძე თ.გაგოშიძე	“TSU PSYCHOLOGY” 2018/03/11	
	ვლადიმერ ლადო გამსახურდია	ინტეგრაციული ფსიქოლოგიური და ქცევითი მეცნიერებები, ტომი და გვერდი ჯერ მინიჭებული არ არის რადგან ბეჭდურად მომავალ წელს დაიბეჭდება	https://doi.org/10.1007/s12124-018-9466-2
	ვლადიმერ ლადო გამსახურდია	კულტურა და ფსიქოლოგია, ტომი 24, ნომერი 2, გვ. 545-559	https://doi.org/10.1177/1354067X18791977

6. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტები

№	პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტში ჩართული პერსონალი/როლი	პროექტის სათაური	პროექტის განხორციელების პერიოდი
	FR/352/2-200/14	ი. იმედაძე (პროექტის ხელმძღვანელი), ზ. ვახანია, მ. ბალიაშვილი, რ.საყვა რელიძე, თ. ჩხეიძე, ნ. ვახანია	განწყობის ქართული ფსიქოლოგიური სკოლის ცნებითი აპარატი - თეორიული და გამოყენებითი მხარეები	2015-2018

YS17-43	პროექტის ხელმძღვანელი	ქართველთა აკულტურაციისა და შინაგანი დიალოგისათვის მისი მნიშვნელობის კვლევა	1.01.2018-31.12.2019
---------	-----------------------	--	----------------------

7. სხვა შედეგები:

7.1. პუბლიკაცია საერთაშორისო კონფერენციის მასალებში

№	პუბლიკაციის ავტორი/ები	კონფერენციის სახელწოდება და ჩატარების ადგილი	პუბლიკაციის დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN
	ვლადიმერ გამსახურდია	სელფის მკვლევართა საერთაშორისო კონფერენცია	http://www.dialogicalself2018.com/abstracts.pdf

7.2. პუბლიკაცია ეროვნული კონფერენციის მასალებში

№	პუბლიკაციის ავტორი/ები	კონფერენციის სახელწოდება და ჩატარების ადგილი	პუბლიკაციის დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN
1	ი.ჟვანია, ა.ქიტიაშვილი, თ.აბაშიძე	II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე “განათლება, კვლევა, პრაქტიკა”; თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, განათლების მეცნ. ფაკულტეტი;	ISSN – 2449-2337 განათლების მიღმა დარჩენილი ახალგაზრდების განათლების მიღების ბარიერები და კარიერული გეგმები

7.4. წიგნების და სხვა ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

№	წიგნის/გამოცემის ავტორები	გამომცემლობა	წიგნის/გამოცემის საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
	ი. იმედაძე, ფსიქოლოგიის ისტორია: ანტიკური ხანიდან ჩვენ დრომდე	მწიგნობარი	978-9941-473-09-8

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.2.

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2-200 ფსიქოლოგია, ფსიქოლოგიის ისტორია; FR/352/2-200/142	2015-2018	ი. იმედაძე (პროექტის ხელმძღვანელი), ზ. ვახანია, მ. ბალიაშვილი, რ. საყვარელიძე, თ. ჩხეიძე, ნ. ვახანია 4

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.2.

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
---	---	--	--

	კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა		
1	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების მხარდაჭერი სოციალური სერვისების გაუმჯობესება, შშმ პირთა სახეების კვლევა, ბრიტანეთის კონსულო (თბილისი), გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)	2018	თამარ მახარაძე (პროექტის კოორდინატორი/მკვლევარი) ირინე ჟვანია (მკვლევარი) ლინდა სტივენსონი (მკვლევარი)

დასრულებული კვლევითი პროექტის 2018 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ინამდებარე კვლევის მთავარი მიზანია ზემოაღნიშნული პროგრამის განხორციელების ათვისებულებების შესწავლა. იმ ფაქტორების გაანალიზება, რომელიც პროგრამის ეფექტურობაზე იქმედებს; ძლიერი მხარეებისა და გამოწვევების განხილვა ადგილობრივ და საერთაშორისო ინტექსტში. კვლევა ჩატარდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო ნივერსიტეტში არსებული შშმ პირთა საკითხების კვლევის ცენტრის მიერ, გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით.

კვლევა ეფუძნება თვისებრივ მეთოდს - პირველადი მონაცემების შესაგროვებლად გამოყენებული ყო სიღრმისეული ინტერვიუ. კვლევა ჩატარდა დედაქალაქსა და ოთხ რეგიონში (იმერეთი, აჭარა, ხეტი და შიდა ქართლი).

კვლევამ აჩვენა, რომ მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტები აქტიურად მუშაობენ მხარდაჭერითი დასაქმების მოდელის დასანერგად; თუმცა, არსებული რაოდენობით, ისინი მხოლოდ შშმ პირთა შეზღუდულ რაოდენობას ემსახურებიან. ქმედითი ნაბიჯები არ არის გადადგმული მათი რაოდენობის გაზრდის მიმართულებით. დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტების დახმარებით დასაქმებული შშმ პირების რაოდენობა მცირეა და ის ქვეყანაში შშმ პირთა დასაქმების ზოგად სურათს ვერ ცვლის. მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს შშმ პირების სამუშაო ადგილებზე დამაგრება-შენარჩუნება. ასევე ნათელია, რომ პროგრამა ფარავს ძირითადად მსუბუქი და საშუალო შეზღუდვის მქონე პირებს. ამავდროულად, ჩვენმა კვლევამ აჩვენა, რომ აღნიშნული სახელმწიფო პროგრამა შშმ პირების ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე პოზიტიურად მოქმედებს - მნიშვნელოვნად ზრდის მათში დასაქმებისა და ზოგადად, სოციალურად აქტიური ცხოვრების მოტივაციას. გარდა ამისა, ხელს უწყობს დამსაქმებლებსა და ზოგადად, საზოგადოებაში შეზღუდული შესაძლებლობების მიმართულებით ცნობიერების ამაღლებას.

დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების სახელმწიფო პროგრამის ეფექტურად

განხორციელებაზე მოქმედი ფაქტორები შეიძლება შემდეგ კატეგორიებად დავაჯგუფოთ: (1) შპმ სამუშაოს მაძიებლებთან დაკავშირებული ფაქტორები, (2) დამსაქმებლებთან დაკავშირებული ფაქტორები, (3) პროგრამასთან დაკავშირებული ფაქტორები და (4) ზოგად კონტექსტთან დაკავშირებული ფაქტორები.

4. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდებისრაოდენობა
1 2	ირაკლი იმედაძე	ფსიქოლოგიის ისტორია: ანტიკური ხანიდან ჩვენ დრომდე	თბილისი: უნივერსალი 978-9941-473-09-8	712

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

წიგნაკში საკმაოდ ვრცლად არის გადმოცემული და გაანალიზებულ ფსიქოლოგიის 2500-წლოვანი ისტორია, მისი განვითარების ძირითადი ეტაპები და უმთავრესი ტენდენციები. წიგნში განხილულია მეცნიერების და, კერძოდ ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიის ძირითადი საკითხები. დახასიათებულია ფსიქოლოგიის ძირითადი დარგების ისტორიული ფორმირების პროცესი; წიგნი შეიცავს მსოფლიო ფსიქოლოგიის ყველა უმთავრესი თეორიული სისტემისა თუ მიმდინარეობის ანალიზს. ეს ანალიზი, ასევე შეაფასებები, ყველაგან, სადაც ეს შესაძლებელია, განწყობის ზოგადფსიქოლოგიური კონცეფციის პოზიციებიდან კეთდება. წიგნში განხილულია საკუთრივ უზნაძის სკოლის მონაპოვარიც, ისევე, როგორც ქართული ფსიქოლოგიური აზრის უფრო ადრინდელი ნიმუშები. ამით გამოირჩევა იგი ფსიქოლოგიის ისტორიის უცხოური სახელმძღვანელოებისაგან.

4.5. სტატიებიISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ISSN	ჟურნალის/კრებულის	გამოცემის ადგილი,	გვერდების რაოდენობა
---	-----------------	-----------------------	-------------------	-------------------	---------------------

			დასახელება და ნომერი/ტომი	გამომცემლობა	
1	ი. იმედაძე	მეცნიერების ფსიქოლოგია	საქართველოს ფსიქოლოგიის მაცნე. 2018, 1	თბილისი, მწიგნობარი	37
2	ი. იმედაძე	თანამედროვე ფსიქოლოგიის ზოგიერთი მიმდინარეობის შესახებ	საქართველოს ფსიქოლოგიის მაცნე. 2018, 1	თბილისი, მწიგნობარი	40
3	ი. იმედაძე	ობიექტივაცია და სუბიექტივაცია	საქართველოს ფსიქოლოგიის მაცნე. 2018, 1	თბილისი, მწიგნობარი	8
4	ი. იმედაძე	კიდევ ერთხელ ნებელობის ფენომენოლოგიის შესახებ	კრებული: ფსიქოლოგიური გამოკვლევები	ბათუმი, გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი“	9

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. სტატიაში გადმოცემულია შედარებით ახალი დარგის „მეცნიერების ფსიქოლოგიის“ ყველაზე ძირითადი მონაცემები და მიდგომები. კერძოდ: მეცნიერთა კოგნიტური სფეროს კვლევის შედეგები; გენიოსობის პრობლემა; მეცნიერთა პროვინული თვისებები და მათი ტიპოლოგია; მეცნიერთა რელიგიურობის საკითხი; სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორების გავლენა მეცნიერებაზე; სამეცნიერო სკოლების დახასიათება და სხვა საკითხები.
2. სტატიაში განხილულია სამი ფსიქოლოგიური მიმართულება/კონცეფცია, რომელთაც საკმაოდ სერიოზული ადგილი უკავიათ თანამედროვე ფსიქოლოგიური მეცნიერების რუქაზე, ესენია: ტრანსპერსონალური ფსიქოლოგია, პოზიტიური ფსიქოლოგია და რაიან დეცის თვითდეტერმინაციის კონცეფცია, გადმოცემულია ამ მიმართულებების/თეორიების ძირითადი შინაარსი. შეფასებები და კრიტიკული ანალიზი პირველ რიგში მათი მეთოდოლოგიური სტატუსის გარკვევის კუთხით არის წარმართული.
3. განწყობის თეორიის ფარგლებში შემოტანილია ახალი ტერმინი - სუბიექტივაცია. თუ უზნაძესეული ობიექტივაციის ტერმინი/ცნება განწყობის სიტუაციურ ფაქტორში შექმნილი პრობლემების გადაჭრაზე მიმართულ გონებრივ ქმედებას აღნიშნავს, სუბიექტივაციის ცნების ქვეშ მოიაზრება სუბიექტის მიერ განხორციელებული ვოლიტური აქტივობა,

ნებელობის დონეზე განხორციელებული მოტივაციური პროცესი, რომელიც მართულია განწყობის მოტივაციური ფაქტორის, ქცევის მოტივაციური სისტემის ფორმირებასა და რეგულაციაზე. ტერმინი სუბიექტივაცია ადექვატურად გამოხატავს ამ პროცესის მთავარ ინტენციას, რამდენადაც მოტივი, უზნაძის კონცეფციაში განიხილება როგორც ქცევის სუბიექტური ღირებულება, რომელიც საფუძვლად ედება გადაწყვეტილების მიღებას.

4. გამოკვლევაში განიხილება დ. უზნაძისა და შ. ჩხარტიშვილის პოზიციების დაახლოების საკითხი ნებელობითი ქცევის ფენომენოლოგიასთან დაკავშირებით. ეს შესაძლებელია, თუ კი სურვილისა (მე მინდა) და საჭიროების (მე უნდა) განცდები განხილული იქნება, როგორც მრავალი გარდამავალი ამბივალენტური ვოლიტური განცდისაგან შემდგარი კონტინიუმის უკიდურესი წერტილები.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3	თ. მახარაძე, თ. აბაშიძე	“კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა და დამსაქმებლის მიმზიდველობა. ნაწილი D; 14. საქართველოს მაგალითი (“CSR and Employer attractiveness”; Part D: CSR and Employer attractiveness in Eastern Europe; 14. THE EXAMPLE OF GEORGIA)	1128 Springer Int. Publishing AG;	გვ. 50-57 გადაცემულია დასაბეჭდად ხელშეკრულების ნომერი: Springer-C-CTP-05/2016
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

სტატიაში განხილულია საერთაშორისო კვლევის მონაცემები “კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ“, რომელშიც მონაწილეობდა 20 ქვეყნის 25 უნივერსიტეტი. კვლევის მიზანი იყო იმ ასპექტების დადგენა, რომელიც პრიორიტეტულია სამსახურის მამძიებელი ახალგაზრდებისათვის პოტენციური დამსაქმებლების შერჩევისას და არის თუ არა ამ თვალსაზრისით განსხვავება სხვადასხვა ქვეყანას შორის. ჩვენს სტატიაში (რომელშიც გაანალიზებულია 311 მონაწილის მონაცემი) განხილულია ის ძირითადი მახასიათებლები, რომელსაც ითვალისწინებენ ქართველი სტუდენტები დამსაქმებლების ძებნისას; ნაცადია გამოვლენილი სპეციფიკური ტენდენციების ახსნა სოციო-ეკონომიკურ და ღირებულებით კონტექსტში.

5.4. სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3	ი.ჟვანია, ა.ქიტიაშვილი, თ.აბაშიძე	„განათლების მიღებისა და კარიერული წინსვლის ბარიერები არასრული ზოგადი განათლების მქონე ახალგაზრდებისათვის საქართველოში“ (Barriers to Education and Career Choice for Young People with Incomplete Secondary Education in Georgia) ISSN: 2349-5219	International Journal of Innovation and Research in Educational Sciences; Volume 5, Issue 5, Sept. 2018	საერთაშორისო ელ.- ჟურნალი	Pages: 515-522

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სტატიაში განხილულია ის ბარიერები, რომელსაც აწყდებიან საბაზო განათლების მქონე ახალგაზრდები საქართველოში შემდგომი განათლების მიღებისა და კარიერული არჩევანის

გზაზე. სტატიაში გაანალიზებულია კვლევის მონაცემები, რომელშიც 344 ახალგაზრდა იღებდა მონაწილეობას. აღმოჩნდა, რომ ახალგაზრდების მიერ სწავლის შეწყვეტის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები სხვადასხვა სიტუაციური, ინსტიტუციური და დისპოზიციური ფაქტორითაა განპირობებული. ახალგაზრდების მიერ დამოუკიდებლად მიღებული გადაწყვეტილებები, ხშირ შემთხვევაში, არაინფორმირებული და გაუაზრებელი ხასიათისაა, რის გამოც დიდი ხნის მანძილზე სინანულს განიცდიან, თუმცა სხვადასხვა მიზეზის გამო ვეღარ ახერხებენ უკან დაბრუნებას განათლებაში და დასაქმების შემთხვევაში შრომის ბაზარზე არაკვალიფიციურ, დაბალანაზღაურებად მუშახელს ქმნიან. სტატიის დასკვნით ნაწილში წარმოდგენილი რეკომენდაციები ამ კატეგორიის (NEETS) ახალგაზრდების სწავლის გაგრძელებისა და კარიერული წინსვლის ღონისძიებების შესახებ.

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1 2 3	თამარ გაგოშიძე	(2018) Neuropsychological functioning of children with epilepsy. EACD-2018 (European Academy of Childhood Disability International Conference),	Tbilisi, May, 28-31. Oral Presentation
მომხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

პიროვნებისა და კლინიკური ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო
ინსტიტუტი

2018 წლის სამეცნიერო მუშაობის ანგარიში

სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: ლუიზა არუთინოვი, ასოცირებული
პროფესორი

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა: პროფესორი: მარინე
ჩიტაშვილი ასოცირებული პროფესორი: ხათუნა მარწყვიშვილი, მაია
მესტვირიშვილი, ლილი ხეჩუაშვილი ასისტენტ პროფესორები: თეონა ლოდია,
მარიამ ფანჯიკიძე, ქეთევან მოსაშვილი

1. სამეცნიერო პუბლიკაციები იმპაქტ-ფაქტორიან გამოცემებში:

№	პუბლიკაციის ავტორი/ავტორები	ჟურნალი, ტომი, გვერდი	პუბლიკაციის დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI
	Neubauer, A. Martskvishvili Kh. (2018). Creativity and Intelligence: A Link to Different Levels of Human Needs Hierarchy?	Heliyon, Volume 4, Issue 5, 2018,	https://doi.org/10.1016/j.heliyon.2018.e00623
<p>ანოტაცია:</p> <p>მიუხედავად იმისა, რომ შემოქმედებითობის შესახებ ჩატარებული ადრეული კვლევები უკვე მჭიდროდ უკავშირდება ინტელექტის შესწავლას, საკითხი იმის შესახებ, თუ რა სპეციფიკური მახასიათებლებით განსხვავდება ინტელექტი და შემოქმედებითობა ერთმანეთისაგან, კვლავაც დიად რჩება. წინამდებარე სტატიაში მიზნად ვისახავთ ვიკვლიოთ, თუ როგორ უკავშირდება ინტელექტი და კრეატიულობა ადამიანური მოთხოვნილებების იერარქიის სხვადასხვა დონეს. კვლევის 342 მონაწილემ შეავსო ინტელექტისა და კრეატიულობის, ასევე, ადამიანური მოთხოვნილებების კმაყოფილებისა და ფრუსტრაციის საკვლევი და თვით-აქტუალიზირებული პიროვნების მახასიათებლების საკვლევი კითხვარები. თუ შემოქმედებითობას თვით-აქტუალიზირებული პიროვნების მახასიათებლად განვიხილავთ, ხოლო ზოგადი ინტელექტის უპირატეს ფუნქციად განვიხილავთ იმას, რომ ის გარემოსთან ადაპტაციისა და გადარჩენის მიზნებს ემსახურება, მაშინ, შემოქმედებითობა და ინტელექტი მოთხოვნილებათა იერარქიის სხვადასხვა საფეხურებს უნდა უკავშირდებოდეს.</p> <p>კვლევაში ჩვენი ვარაუდი დადასტურდა: ინტელექტი დადებითად უკავშირდება მოთხოვნილებათა დაბალ საფეხურს, მაშინ როცა კრეატიულობის საზომები (დივერგენტული აზროვნება; შემოქმედებითი მიღწევები და აქტივობები) აჩვენებს პოზიტიურ კავშირს მოთხოვნილებათა იერარქიის ზედა დონესთან. კვლევის სამეცნიერო ღირებულებას წარმოადგენს ის, რომ კვლევის შედეგებს წვლილი შეაქვს არსებულ საერთაშორისო სამეცნიერო დისკუსიაში ზოგად ინტელექტსა და კრეატიულობას შორის არსებულ სპეციფიკურ განსხვავებებთან დაკავშირებით.</p>			
	Panjikidze, M. Bilman, A. Martskvishvili, Kh. Chitashvili, M. Posttraumatic Growth, Personality Factors, and Social Support Among War-Experienced Young	Psychological Reports	მიღებულია დასაბეჭდად

Georgians		
<p style="text-align: center;">ანოტაცია</p> <p>პოსტტრავმული ზრდის ფენომენისა და მასთან დაკავშირებული ფაქტორების შესწავლას ხანგრძლივი ისტორია აქვს, თუმცა კვლევების მცირე ნაწილია განხორციელებული ახალგაზრდებთან. ჩვენი კვლევის მიზანია პოსტტრავმული ზრდის და მასთან დაკავშირებული კორელატების - პიროვნული ნიშნებისა და სოციალური მხარდაჭერის რაობის შესწავლა იძულებით გადაადგილებულ ბავშვებთან და მოზარდებთან. კვლევაში მონაწილეობდა 242 ინდივიდი, საშუალო ასაკი წარმოადგენდა 13.22 (SD=2.73). კორელაციური, რეგრესიული და მედიაციური ანალიზის მეშვეობით დადგინდა ცვლადებს შორის ურთიერთმიმართება. კვლევის შედეგების მიხედვით, პიროვნულ ნიშნებს - ექსტრავერსიასა და კეთილსინდისიერებას, ისევე როგორც ინფორმაციული სახის სოციალურ მხარდაჭერას აქვს პრედიქტული მნიშვნელობა პოსტტრავმული ზრდისთვის. ხოლო სოციალური მხარდაჭერა წარმოადგენს მედიატორს პიროვნულ ნიშნებსა და პოსტტრავმულ ზრდას შორის კავშირის განსაზღვრისას. მოცემული კვლევის შედეგები წარმოადგენს ემპირიულ მონაცემს, რომელიც ხელს უწყობს ბავშვებსა და მოზარდებთან პოსტტრავმული ზრდის მექანიზმების შესწავლას.</p>		
<p>N. Sordia, Kh. Martskvishvili. (2018). The Relationship between Creative Potential and Creative Achievements: The Role of Emotional Traits</p>	<p>Swiss Journal of Psychology</p>	<p>წარდგენილია დასაბეჭდად</p>
<p style="text-align: center;">ანოტაცია:</p> <p>შემოქმედებითი პოტენციალი, რომელიც შემოქმედებით მიღწევებად რეალიზდება ცვლის სამყაროს და განსაზღვრავს პროგრესს. იმ ფაქტორების კვლევა, რომელიც შემოქმედებითი მიღწევების რეალიზაციაში ეხმარება ადამიანს საკმაოდ მნიშვნელოვანია. მიუხედავად იმისა, რომ პიროვნებისა და შემოქმედებითობის შესახებ ჩატარებული კვლევები დასაწყისიდანვე მჭიდროდ უკავშირდებოდა ერთმანეთს, კვლევაც ნათელი არაა ემოციებთან დაკავშირებული პიროვნული ნიშნები, კერძოდ, ემოციური კრეატიულობა და ემოციური ინტელექტი ეხმარება თუ არა შემოქმედებითი პოტენციალის მქონე პიროვნებას ამ პოტენციალის მიღწევებად რეალიზებაში. კვლევის 342 მონაწილემ (Mage=21.87, SD=5.84) შეავსო ალტერნატიული გამოყენების ამოცანები და წინადადებები; შემოქმედებითი აქტივობებისა და მიღწევების სკალა; ემოციური ინტელექტის, როგორც პიროვნული ნიშნის საკვლევი კითხვარი და ემოციური კრეატიულობის საკვლევი კითხვარი. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ სოციალურობა (ემოციური ინტელექტის ფაქტორი) და სიახლე (ემოციური კრეატიულობის ასპექტი) ასრულებს მოდერატორის როლს კრეატიულ პოტენციალსა და მიღწევებს შორის</p>		

<p>კავშირისთვის, მაშინ როცა შემოქმედებითი აქტივობები მედიატორ ცვლადად გვევლინება პოტენციალსა და მიღწევებს შორის. კვლევა გვაწოდებს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ ემოციებთან დაკავშირებული პიროვნული ნიშნები როგორ შეიძლება უწყობდეს ხელს შემოქმედებითი პოტენციალის შემოქმედებით მიღწევებად რეალიზებაში, რაც ღირებული ინფორმაციაა როგორც პრაქტიკოსი ფსიქოლოგების, ასევე, განათლების სფეროში დასაქმებული პროფესიონალებისთვის.</p>		
ხეჩუაშვილი ლილი	<p>„From Rumination to Generativity: Mediation Effect of Posttraumatic Growth“.</p> <p>Journal of Loss and Trauma</p>	ბეჭდვაში
ხეჩუაშვილი ლილი	<p>„Psychometric Properties of the Georgian Expanded Version of Posttraumatic Growth Inventory“</p> <p>Journal of Loss and Trauma</p>	ბეჭდვაში

2. სხვა პუბლიკაციები:

№	პუბლიკაციის ავტორი/ავტორები	ჟურნალი, ტომი, გვერდი	პუბლიკაციის დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI-სა და ISSN
	<p>ნ. სორდია, ხ. მარწყვიშვილი (2018). ზღურბლის ეფექტი: ემოციური ინტელექტის, როგორც პიროვნული ნიშნის მიმართება ემოციურ შემოქმედებითობასთან.</p>	<p>თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - ფსიქოლოგია</p>	<p>მიღებულია დასაბეჭდად</p>
<p>ემოციური ინტელექტისა და ემოციური შემოქმედებითობის შესახებ არსებული კვლევებიდან ცნობილია, რომ საქმე ურთიერთდამოუკიდებელ, თუმცა გარკვეულწილად, ურთიერთდაკავშირებულ კონსტრუქტებთან გვაქვს (Ivcevic et al., 2007). ემოციურ ინტელექტსა და ემოციურ შემოქმედებითობას შორის კავშირი შესაძლოა ინტელექტსა და შემოქმედებითობას შორის კავშირის მსგავსი იყოს (Averill, 1999). კერძოდ, შესაძლოა, ამ შემთხვევაშიც არსებობდეს ზღურბლის ეფექტი, რაც ჯერჯერობით დადასტურებული არ</p>			

	<p>არის. მიმდინარე კვლევა მიზნად ისახავს სწორედ ამ ცვლადებს შორის არსებული კავშირის სპეციფიკის დადგენას ზღურბლის თეორიის შემოწმების საფუძველზე. კვლევაში მონაწილეობდა 17-დან 49 წლამდე ასაკის (M=21.87, SD=5.84), 342 ინდივიდი. მონაცემთა ანალიზმა დაადასტურა, რომ ემოციური ინტელექტი და ემოციური შემოქმედებითობა ურთიერთდამოუკიდებელი, თუმცა ურთიერთდაკავშირებული კონსტრუქტებია. ამ კავშირის თავისებურებათა შეფასებისას ჩანს, რომ ემოციური ინტელექტი, როგორც ერთიანი კონსტრუქტი, ასევე, მისი კომპონენტები, ემოციური შემოქმედებითობის პრედიქტორები არიან. სემანტიკური რეგრესიული ანალიზი აჩვენებს, რომ ზღურბლის ჰიპოთეზის საფუძველად მდებარე პრინციპი ემოციურ ინტელექტსა და ემოციურ შემოქმედებითობას შორის კავშირის სპეციფიკას განსაზღვრავს. კერძოდ, ემოციური ინტელექტის ორ ფაქტორს - სოციალურობა და ფსიქოლოგიური კარგად ყოფნა - პრედიქტორული ღირებულება აქვს ემოციური შემოქმედებითობისთვის მაშინ, როდესაც ემოციური ინტელექტის ქულა ზღურბლის მაჩვენებელზე მაღალია; ხოლო ემოციურობისა და თვითკონტროლის ფაქტორებს კი - როდესაც ემოციური ინტელექტის ქულა ზღურბლის მაჩვენებელზე დაბალია. მოცემული კვლევა გვაწვდის ინფორმაციას ემოციურ ინტელექტს, როგორც პიროვნულ ნიშანსა და ემოციურ შემოქმედებითობას შორის კავშირის სპეციფიკის შესახებ, რითიც ამ ორი კონსტრუქტის ბუნებისა და თავისებურებების შესახებ არსებულ ცოდნას აფართოებს.</p>		
ხეჩუაშვილი ლილი	„მოვლენის ტიპი, ავტობიოგრაფიული მსჯელობა და პერსონალური ნარატივის ინტრანდივიდუალური ცვალებადობა დროში“. GESJ: Education Science and Psychology, 2(48), გვ. 9-32		
ჯანაშვილი თამარი, ხეჩუაშვილი ლილი, გოგიჩაიშვილი მარიამ	„თავისუფლების აღკვეთის გამოცდილება, ავტობიოგრაფიული მსჯელობა, მნიშვნელობის შექმნა და გენერაციულობა“. GESJ: Education Science and Psychology, No.1(47), გვ. 3-36.		
ეკა ნადირაძე, თეონა ლოდია	თსუ ფსიქოლოგია		მიღებულია დასაბეჭდად
